

“ვ ა მ ტ პ ი ც ე ბ”

კონომიკური საქმიანობისსფეროს აუდიტის

დეპარტამენტის უფროსის მოადგილუ

ალექსანდრე არაყიშვილი

2 თებერვალი

„-----“ 2012 წლი



გვ. N2

შვი ზღვის დაბინძურების წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების შესაბამისობის
აუდიტის ანგარიში 01/5100

01/01/2007-01/01/2010

შინაარსი/სამიებელი

| | |
|---|----|
| ტერმინთა განმარტებები | 3 |
| აკრონიმები..... | 5 |
| მნიშვნელოვანი შედეგები..... | 5 |
| წინასიტყვაობა | 5 |
| აუდიტის ჩატარების მიზეზები..... | 6 |
| აუდიტის მაშტაბი..... | 7 |
| შეფასების კრიტერიუმები | 8 |
| აუდიტის ჩატარების მეთოდები..... | 9 |
| 1. ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისობა კონვენციით აღებულ ვალდებულებთან..... | 9 |
| 1.1 საკანონმდებლო ნორმატიული აქტები..... | 9 |
| 1.2 კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები | 10 |
| 3.ხმელეთიდან დაბინძურების მართვა და აღრიცხვიანობა | 13 |
| 3.1 მდინარეებიდან ჩაშვებული წყლებით დაბინძურების მართვა და აღრიცხვიანობა/სტატისტიკა | 13 |
| 3.2 მუნიციპალური არხებიდან ჩაშვებული წყლებით დაბინძურების მართვა და აღრიცხვიანობა/სტატისტიკა | 15 |
| 3.3 საწარმოებიდან ჩაშვებული წყლებით დაბინძურების მართვა და აღრიცხვიანობა/სტატისტიკა | 16 |
| 3.4 ნაგავსაყრელებით შავი ზღვის დაბინძურების მართვა და აღრიცხვიანობა/სტატისტიკა | 17 |
| დასკვნა..... | 18 |
| 4. შავი ზღვის დაბინძურების მონიტორინგი | 18 |
| 4.1 წყლის მონიტორინგის სტრუქტურა..... | 18 |
| 4.2 მონიტორინგის წარმოების ეფექტიანობა და მონაცემები/სტატისტიკა | 19 |
| აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი..... | 21 |

ტერმინთა განმარტებები

ზედაპირული წყლები - მდინარეები, ტბები, წყალსაცავები, სხვა ბუნებრივი და ხელოვნური წყალსატევები; არხების და ტბორების, ასევე ტერიტორიული და სპეციალური ეკონომიკური ზონების წყლები.

წყალმოხმარება- სხვადასხვა ტექნიკური საშუალებების გამოყენებით წყლის მოხმარება, რომელიც გავლენას ახდენს მის ხარისხობრივ მდგომარეობაზე.

გარემოზე ზემოქმედების ნებართვა- საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ფორმით მინიჭებული უფლება, რომელიც გაიცემა საქმიანობის განმახორციელებელზე და ამ უკანასკნელის დაწყების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს. საქმიანობა, რომელიც ნებართვას საჭიროებს განისაზღვრება სამინისტროს მიერ.

რესურსების ინტეგრირებული მართვა -პროცესი, რომელიც ემყარება ყველა არსებული წყლის ობიექტის (ზედაპირული, მიწისქვეშა)ერთიან მართვას მდინარის აუზის ჰიდროლოგიური საზღვრების ფარგლებში. ეს პროცესი აერთიანებს წყალსარგებლობის სხვადასხვა სექტორის ინტერესებს, რთავს ყველა დაინტერესებულ მხარეს გადაწყვეტილების მიღების პროცესში და ხელს უწყობს წყლის ეფექტიან გამოყენებას საზოგადოების კეთილდღეობისა და ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.“

სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვა - გულისხმობს სანაპიროს განვითარების დაგეგმვისა და მართვის პროცესში ქვეყნის ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური და ეკოლოგიური ინტერესების გათვალისწინებას. მიღების ეფუძნება მდგრადი განვითარების პრინციპებს.

საქართველოს ტერიტორიული წყლები - დადგენილია საქართველოს კანონით „საზღვაო სივრცის შესახებ“ და მოიცავს 12 საზღვაო მილის სიგანის სარტყელს, რომელიც აკრავს საქართველოს სახმელეთო ტერიტორიას ან შიდა საზღვაო წყლებს. ტერიტორიული ზღვის სიგანე აითვლება შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის დეპარტამენტის მიერ დადგენილი და პრეზიდენტის მიერ დამტკიცებული წერტილების შემაერთებელი საწყისი ხაზებიდან.

ტექნიკური რეგლამენტი - გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების მართვის სამინისტროს ბრძანებით დამტკიცებული ნორმატიული აქტი, რომლითაც დადგენილია

ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებული დამაბინძურებელი ნივთიერებების ზღვრულად დასაშვები ჩაშვების ნორმატივები იმ საწარმოო და არასაწარმოო ობიექტებისთვის რომლებიც არ საჭიროებენ გარემოზე ზემოქმედების ნებართვას.

ეუტროფიკაცია - პროცესი, რომლის შედეგადაც ტბა, ზღვის სანაპირო ან წყალსაცავი დაჭაობებულ ტერიტორიად გარდაიქმნება. წყალში ეუტროფიკაციის გამომწვევი ნივთიერებების კონცენტრაციის მომატება ზრდის წყალმცენარეების რაოდენობას, შედეგად მკვეთრად იზრდება ჟანგბადის მოხმარება, რაც ხელს უშლის წყლის ეკოსისტემების ნორმალურ ფუნქციონირებას და იწვევს ბიომრავალფეროვნების სახეობების განადგურებას.

წყლის გაუსწებოვნება - ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების სისტემატიური გაწმენდა დამაბინძურებელი ნივთიერებებისაგან.

ჟანგბადის ბიოქიმიური მოთხოვნა (ჟბმ 5) - ჟანგბადის ის რაოდენობა, რომელიც საჭიროა წყალში ბიოქიმიური პროცესების გზით ორგანული ნივთიერების დასაშლელად 5 დღის განმავლობში. რაც უფრო მაღალია ჟბმ-ის მაჩვენებელი მით უფრო ნაკლებია წყალში გახსნილი ჟანგბადი და მეტია წყლის დაბინძურების დონე.

მდინარის აუზი - ხმელეთის ზედაპირი, საიდანაც მდინარის სისტემა იკრებს წყალს.

ბიომრავალფეროვნება - ცოცხალ ორგანიზმთა მრავალფეროვნება. ხმელეთის, ზღვის და წყლის ეკოსისტემების ერთობლიობა.

ეკოლოგიური ექსპერტიზა - არის გარემოსდაცვითი ხასიათის აუცილებელი ღონისძიება, რომელიც ხორციელდება გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

შემოკლებები

სამინისტრო - საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მართვის სამინისტრო;

სამმართველო - წყლის რესურსების მართვის სამმართველო;

კონვენცია - კონვენცია შავი ზღვის დაბინძურების წინააღმდეგ;

სააგენტო - გარემოს ეროვნული სააგენტო;

ინსპექცია - გარემოს დაცვის ინსპექცია;

აჭარის ა/რ - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა.

აკრონიმები

INTOSAI - უმაღლესი აუდიტორული ინსტიტუტების საერთაშორისო ორგანიზაცია;
 EUROSACI - უმაღლესი აუდიტორული ინსტიტუტების ევროპული გაერთიანება
 INTOSAI-ს ერთ-ერთი რეგიონალური ჯგუფი;
 BSEC - შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია;
 სსიპ - საჯარო სამართლის იურიდიული პირი;
 ქბმ 5 - ჟანგბადის ბიოქიმიური მოხმარება;
 ზდკ - ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციები;
 გდი - გარემოს დაცვის ინსპექცია.

მნიშვნელოვანი შედეგები

1. შავი ზღვის დაცვის მარეგულირებელი ნორმები გამოიყენებოდა სხვადასხვა ნორმატიულ აქტებში, ხოლო ზოგიერთი მათგანი მოძველებულია; (გვ 9)
2. არ არსებობს შავი ზღვის დაცვაზე პასუხისმგებელი ორგანიზაციების ერთიანი, ლოგიკურად ჩამოყალიბებული ეფექტიანი სტრუქტურა, რაც ხელს უშლის კოორდინაციას, ინფორმაციის ურთიერთგაცვლასა და ზოგადად ამცირებს ერთეულების საქმიანობის ეფექტიანობას; (გვ 11)
3. აუდიტის პერიოდში სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული სტრუქტურული ერთეულები სათანადოდ ვერ ახორციელებდნენ წყალმომხმარებელის მიერ ჩაშვებული დამაბინძურებელი ნივთიერებების ზღვრულად დასაშვები ჩაშვების ნორმატივებთან შესაბამისობის ინსპექტირებას/მონიტორინგს. (გვ 13)
4. აჭარის ა/რესპუბლიკაში მოქმედი ნაგავსაყრელების უმრავლესობა გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან ფუნქციონირებს და გარემოზე ზემოქმედების ნებართვა არც ერთ მათგანზე გაცემული არ არის, რითაც ირღვევა კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები; (გვ 17)
5. ზედაპირული წყლის ობიექტებზე და შავ ზღვაზე არ ხორციელდება მუდმივი, საიმედო, საჭირო სიხშირისა და სიზუსტის მონიტორინგი, მონაცემთა ბაზის წარმოება და შენახვა. (გვ 18)

წინასიტყვაობა

ანგარიშში წარმოდგენილია საქართველოს კონტროლის პალატის მიერ განხორციელებული „შავი ზღვის დაბინძურების წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების“ შესაბამისობის აუდიტის შედეგები. წინამდებარე აუდიტის ეროვნული ანგარიში შავი ზღვის 5 სხვადასხვა ქვეყანაში ანალოგიური პროექტების პარალელურად განხორციელდა.

აუდიტი ჩატარდა საერთაშორისო პარალელური კოორდინირებული პროექტის სახით, შავი ზღვის აუზის 5 ქვეყნის თანამშრომლობის შედეგად - INTOSAI-ს მიერ დამუშავებული სახელმძღვანელოს „უმაღლეს აუდიტორულ ინსტიტუტებს შორის კოოპერაციული აუდიტის ჩატარების შესახებ“ ფარგლებში. ეროვნული პროექტების საფუძველზე უკრაინის საანგარიშო პალატის ხელმძღვანელობით მომზადდა საერთო ანგარიში, რომლის პრეზენტაციაც განხორციელდა, პორტფუგალიაში გამართულ EUROSAI-ის მე-7 ყოველწლიურ კონგრესზე, 2011 წლის ივნისში.

აუდიტის ჩატარების მიზეზები

შავი ზღვა, მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული რეგიონალური ზღვაა. იგი თითქმის მთლიანადაა მოწყვეტილი მსოფლიოს ოკეანეებს, არის 2200 მ-ზე მეტი სიღრმის და მასში ჩაედინება წყლები 2 მილიონი კმ² აუზიდან, რომელიც კონტინენტური ევროპის თითქმის 1/3-ს მოიცავს. დანარჩენ სამყაროსთან მისი ერთადერთი დამაკავშირებელი ბოსფორის სრუტეა, რომელიც წარმოადგენს 35 კმ სიგანის ბუნებრივ არხს და ზოგ ადგილებში მხოლოდ 40 მ სიღრმისაა. ამ არხში 2 მიმართულების დინებაა, რომლის მეშვეობითაც ყოველწლიურად დაახლოებით 300 კმ³ წყალი ხმელთაშუა ზღვიდან შემოედინება ქვედა დინებით, ხოლო ზედა შრიდან გაედინება ზღვის და მტკნარი წყლის ნარევი ორმაგი ოდენობით. ყოველწლიურად დაახლოებით 350 კმ³ მდინარის წყალი ჩაედინება ტერიტორიიდან, რომელიც კონტინენტური ევროპის თითქმის 1/3-ს და 17 ქვეყნის მნიშვნელოვან ნაწილს მოიცავს. ევროპის სიდიდით მეორე, მესამე და მეოთხე მდინარეები შავ ზღვაში ჩაედინება.

შავი ზღვის ღია ოკეანის გამანეიტრალებელი თვისებებისაგან იზოლირებულობამ და მისმა უზარმაზარმა დაფარვის ზონამ იგი განსაკუთრებით მგრძნობიარე გახადა ეუტროფიკაციის მიმართ. ეუტროფიკაციამ ბოლო სამი ათწლეულის განმავლობაში შავი ზღვის ეკოსისტემის რადიკალური ცვლილებები გამოიწვია, რომელმაც განსაკუთრებული გავლენა ბიომრავალფეროვნებასა და ადამიანთა მიერ ზღვის სარეკრეაციოდ გამოყენებაზე იქნია.

შავი ზღვის სანაპიროს საქართველოსთვის დიდი სოციალური და ეკონომიკური მნიშვნელობა აქვს, როგორც რეკრეაციული, ისე ტურიზმის განვითარების თვალსაზრისით. უკანასკნელ პერიოდში ქვეყნის ტურისტული პოტენციალის განვითარებისაკენ მიმართულმა სახელმწიფო პოლიტიკამ და შავი ზღვის სანაპიროზე დამსვენებელთა რაოდენობის მატებამ მნიშვნელოვნად გაზარდა აღნიშნული საკითხის აქტუალურობა. იმისათვის რომ შენარჩუნდეს დამსვენებელთა რაოდენობის ზრდის ტენდენცია, ამისათვის სხვა ფაქტორებთან ერთად აუცილებელია, ზღვის წყლისა და სანაპირო ზოლის ხარისხი შეესაბამებოდეს საერთაშორისო სტანდარტებს. 1993 წელს

საქართველოს პარლამენტის მიერ შავი ზღვის კონვენციის რატიფიკაციამ ხაზი გაუსვა ქვეყნისათვის შავი ზღვის როლს და პარლამენტის გადაწყვეტილებას, რომ მომხდარიყო კონვენციით აღებული ვალდებულებების შესრულება. კონვენცია ცნობს „შავი ზღვის გარემოს ეკონომიკურ, სოციალურ და სამკურნალო მნიშვნელობას“ და აღნიშნავს, რომ „ზღვის სანაპირო არის მნიშვნელოვანი საერთაშორისო-საკურორტო ზონა, სადაც შავი ზღვის აუზის ქვეყნებს დიდი ინვესტიციები აქვთ განხორციელებული ჯანმრთელობის დაცვისა და ტურიზმის განვითარების მიმართულებით.“

საკითხის აქტუალურობა დღემდე არ შესუსტებულა, რისი მაგალითიცაა BSEC-ის ქვეყნებში ტურიზმის განვთარებაზე პასუხისმგებელი პირების 2010 წლის 15 ნოემბრის დეკლარაცია, რომელიც გამოხატავს მათ განზრახვას, რომ „გააძლიერონ ძალისხმევა რათა BSEC-ის არეა ჩამოყალიბდეს როგორც ტურისტული ზონა მსოფლიო ტურისტულ ბაზარზე, მოახდინოს რეგიონის როგორც უნიკალური და მიმზიდველი დასასვენებელი ადგილის იმიჯის გაძლიერება და სტიმულირება.“

90-იან წლებამდე, შავი ზღვის დასაცავად, თითქმის არანაირი ღონისძიებები არ ხორციელდებოდა. საბჭოთა პერიოდის პოლიტიკური განსხვავებები და გარემოსდაცვითი მდგომარეობის ზოგადი არცოდნა დაბინძურების წინააღმდეგ მიმართული ზომების არარსებობაში გამოიხატებოდა. 1992 წელს, შავი ზღვის აუზის ქვეყნებმა, ხელი მოაწერეს შავი ზღვის დაბინძურებისაგან დაცვის (ბუქარესტის) კონვენციას. აღნიშნული კონვენციის თანახმად, შავი ზღვის აუზის ქვეყნები ვალდებულებას იღებდნენ ინდივიდუალური და საერთო ძალისხმევით შეემცირებინათ შავი ზღვის დაბინძურების დონე, მოეხდინათ დაბინძურების შესამცირებლად განსახორციელებელი ქმედებების საკანონმდებლო უზრუნველყოფა.

აუდიტის მაშტაბი

წინამდებარე აუდიტის მიზანი იყო შეეფასებინა „შავი ზღვის დაბინძურების წინააღმდეგ მიმართული“ კონვენციით განსაზღვრული ვალდებულებების განსახორციელებლად გატარებული ღონისძიებების ეფექტიანობა.

ანგარიში მოიცავს საქართველოს სანაპირო ზოლის სარფი-ანაკლიის მონაკვეთის აუდიტის შედეგებს და ეხება მხოლოდ ხმელეთზე განლაგებული ობიექტებიდან დაბინძურებას. ხმელეთზე განლაგებული წყაროებით ზღვის დაბინძურების ძირითადი სახეობებია ჩამდინარე მუნიციპალური, საწარმოო გაუწმენდავი და სასოფლო-სამეურნეო წყლები.

აუდიტის პერიოდია 2007-2009 წლები.

აუდიტი განხორციელდა პარალელურად შემდეგ ქვეყნებთან ერთად: უკრაინა, რუმინეთი, თურქეთი და რუსეთი.

აუდიტის ობიექტები

აუდიტის ძირითადი ობიექტებია: გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო და მისი რეგიონალური სამსახურები; სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო“; სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება „გარემოს დაცვის ინსპექცია“; აჭარის ა/რ-ის „გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მართვის სამმართველო“ და ქ. ფოთის მუნიციპალიტეტი.

შეფასების კრიტერიუმები

ძირითადი კრიტერიუმებია: შავი ზღვის კონვენცია; „საქართველოს კანონი წყლის შესახებ“, ჯანდაცვის მინისტრის N 297/N (2001 წ.16 აგვისტო) ბრძანება „გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობის ნორმების დამტკიცების შესახებ“ და ასევე ის ნორმატიული აქტები, რომლებიც განსაზღვრავენ აუდიტის ობიექტების უფლება-მოვალეობებს.

შავი ზღვის დაბინძურებისაგან დაცვის ძირითადი საერთაშორისო დოკუმენტია „კონვენცია შავი ზღვის დაბინძურების წინააღმდეგ“. აღნიშნულის რატიფიკაცია საქართველოს პარლამენტის მიერ მოხდა 1993 წელს.¹ აღნიშნული კონვენციის პირობების მიხედვით: „ხელშემკვრელი მხარეები შექმნილი პირობების შესაბამისად ინდივიდუალურად ან ერთობლივად ახორციელებენ საერთაშორისო სამართლის შესატყვის და ამ კონვენციის შესაბამის ყველა საჭირო ღონისძიებას იმისათვის რომ შავი ზღვის გარემოს დაცვისა და შენარჩუნების მიზნით აღვეთონ, შეამცირონ და კონტროლი გაუწიონ მის დაბინძურებას“.

ხმელეთზე განლაგებული წყაროებიდან შავი ზღვის დაბინძურებისაგან დაცვის ოქმის თანახმად, რომელიც კონვენციის განუყოფელი ნაწილია, ხელშეკრულების მხარეებმა „არ უნდა დაუშვან, შეამცირონ და გააკონტროლონ შავი ზღვის დაბინძურება ხმელეთზე განლაგებული წყაროებიდან“.

კონვენციის ოქმი ახდენდა ხელმომწერი მხარეების მიერ გასატარებელი ღონისძიებების შემდგომ გაწერას, რათა განხორციელებულიყო მუნიციპალური საკანალიზაციო სისტემებიდან ჩამდინარე წყლებით, საწარმოო ნარჩენებით და სოფლის მეურნეობის სექტორიდან დაბინძურების შემცირება. ასევე, ოქმის მე-4 მუხლის თანახმად ქვეყნები

¹ საქართველოს პარლამენტის დადგენილება, 11მარტი 1993 წელი

თანხმდებოდნენ, რომ თავიდან აეცილებინათ შავი ზღვის გარემოს დაბინძურება ოქმის 1-ლ დანართში ჩამოთვლილი ნივთიერებებითა და მასალებით, შეემცირებინათ მე-2-ე დანართის ნივთიერებებით და მასალებით დაბინძურება, ხოლო შესაძლებლობის შემთხვევაში კი- საერთოდ გამოერიცხათ.

კონვენცია ითვალისწინებს ზღვის დამაბინძურებელი ფიზიკური და იურიდიული პირების მიმართ ფინანსური სანქციების გამოყენებას, ანუ „დამბინძურებელი იხდის“ პრინციპს.

აუდიტის ჩატარების მეთოდები

პასუხები აუდიტის კითხვებზე მოძიებული იქნა ძირითადად დოკუმენტური წყაროებიდან (ეროვნული კანონმდებლობა, ბრძანებები, განკარგულებები, ინსტრუქციები და აუდიტის ობიექტთა დებულებები), ასევე სამინისტროს შესაბამის სამსახურებში ჩატარებული ინტერვიუების, გაგზავნილი კითხვარების და ობიექტების ადგილზე უშუალო შესწავლის გზით.

1. ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისობა კონვენციით აღებულ ვალდებულებებთან

1.1 საკანონმდებლო ნორმატიული აქტები

კონვენციით აღებული ვალდებულებების შესასრულებლად აუცილებელია მისი მოთხოვნების ეროვნულ კანონმდებლობაში რეალიზება. საქართველოში წყლის შესახებ კანონმდებლობა გაბნეულია სხვადასხვა კანონებში, ბრძანებებსა და მარეგულირებელ აქტებში, რომელთაგან აღნიშვნის ღირსია „კანონი წყლის შესახებ“, „კანონი გარემოზე ზემოქმედების ნებართვების შესახებ“, „კანონი გარემოს დაცვის შესახებ“, ჯანდაცვის მინისტრის 2001 წლის 16 აგვისტოს ბრძანება N 297/N „სანიტარული ნორმების დამტკიცების შესახებ“, სხვა ნორმატიული და კანონქვემდებარე აქტები.


წყალმოხმარების სფეროს ძირითადი მარეგულირებელი დოკუმენტია „საქართველოს კანონი წყლის შესახებ“, რომელიც მიღებულია 1997 წლის 16 ოქტომბერს. აღნიშნული კანონი უმთავრესად არეგულირებს ზედაპირული წყლების გამოყენებას და ნაკლები ყურადღება ეთმობა სანაპირო და მიწისქვეშა წყლების დაცვას. ამასთანავე, კანონის ნაწილს, რომელიც სპეციალური წყალსარგებლობის ლიცენზირებას ეხება, დაკარგული აქვს აქტუალურობა რამდენადაც წყალსარგებლობის ნებართვები გაუქმებულია 2007 წლიდან. ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა წყლის ახალ ჩარჩო-კანონზე, რომელშიც გათვალისწინებული იქნება მდინარის აუზის მართვის, ასევე სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის პრინციპები და მიახლოებული იქნება

ევროკავშირის ნორმებთან. აღნიშნული კანონის მიღება, გარემოს მე-2 ეროვნული პროგრამის მიხედვით, დაგეგმილია 2011-2012 წლებისათვის.

1.2 კანონქვემდებარენორმატიულიაქტები

წყლის მინიმალური ხარისხი და ნივთიერებათა დასაშვები კონცენტრაციები დადგენილია ჯანდაცვის მინისტრის ბრძანებით². აღნიშნული ბრძანების მიხედვით წყალი იყოფა სასმელ, ზედაპირულ და სანაპირო ზოლის წყლად; ზღვის სანაპირო ზოლში იქმნებოდა წყალმოხმარების რაიონები და სანიტარული დაცვის ზონები, რომლის ფარგლებშიც დგინდებოდა დაბინძურების სხვადასხვა რეჟიმი. წყალმოხმარების სანაპირო საზღვარი დგინდება წყლის მოჭრის ხაზიდან არანაკლებ 2 მილისა (3,9კმ) ზღვის მიმართულებით, ხოლო წყალმოხმარების სანიტარული ზონის საზღვარი კი ზღვის მიმართულებით საქართველოს ტერიტორიული წყლებით(12 მილი), ხოლო წყალმოხმარების რაიონიდან წყლის მოჭრის ხაზის გასწვრივ ორივე მხარეს 10კმ-ით.

- ზღვის წყალმოხმარების დაცული რაიონის სქემა:



იმავე ბრძანებისმიხედვით, მოსახლეობის წყალმოხმარების ზონაში აკრძალულია ყოველგვარი ნახმარი, მათშორის გაწმენდილი, საყოფაცხოვრებო, კომუნალური,

²ჯანდაცვის მინისტრის N 297/ნ 2001 წ.16 აგვისტო ბრძანება „გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობის ნორმების დამტკიცების შესახებ“


სამრეწველო, სადრენაჟო და ა.შ წყლის ჩაშვება. ასევე, სანიტარული დაცვის ზონაში აკრძალულია: ყველა სახის ნახმარი გაუწმენდავი და გაუსწოვნებული წყლის ჩაშვება. ეკონომიკური ინსტრუმენტები წყლის ობიექტების დაცვისათვის, როგორიცაა ნებართვების გაცემა წყლის ამოღების/ჩაშვებისა და წყლის დაბინძურების გადასახადები, გაუქმდა³. ამჟამად სფერო რეგულირდება გარემოზე ზემოქმედების ნებართვებისა და ტექნიკური რეგლამენტების მეშვეობით, რომლებიც არ ითვალისწინებენ წყლის მართვის მნიშვნელოვან ასპექტებს. მაგალითად, წყლის ობიექტში ბუნებრივი დაბინძურების დონეებს და ადგილობრივ ბიომრავალფეროვნებას.

დასკვნა

მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობის ნაწილი დასახვეწია და განახლებას მოითხოვს, საქართველოში არსებობს შავი ზღვის კონვენციის პირობების შესასრულებლად საჭირო ნორმატიული ბაზა. წყლის ახალი კანონი რომელიც სანაპირო აუზის მართვის პრინციპებს გაითვალისწინებს და შესაბამისობაში იქნება ევროკავშირის წყლის დირექტივებთან მოახდენს არსებული საკანონმდებლო ბაზის კონსოლიდირებას.

2. მარეგულირებელი ორგანოების სტრუქტურა და საქმიანობისაღწერილობა

შავი ზღვისა და მისი აუზის დაცვის ღონიძებებით დაკავებული ორგანიზაციები დაქვემდებარების მიხედვით სხვადასხვა დონეებს მიეკუთვნებიან. ობიექტების სტრუქტურა წამოდგენილია სქემის სახით:



³ 2007 წ. 14 დეკემბრის N 5606 ცვლილება კანონში „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“

შავი ზღვის დაცვითა და მონიტორინგით მრავალი უწყებაა დაკავებული, რომელთა ფუნქციებიც დანაწევრებულია და ზოგ შემთხვევაში მათი კომპეტენციის სფეროები ნათლად არ არის განსაზღვრული.

- წყლის რესურსების მართვის სამმართველო

წყლის გამოყენების სტატისტიკური აღრიცხვა: ყოველი წლის იანვარი-მარტის პერიოდში სამმართველოში მიმდინარეობს წყალმოსარგებლე ობიექტების წყლის გამოყენების სახელმწიფო აღრიცხვის სტატისტიკური ფორმების მიღება. სტატისტიკურ ფორმებში შეიტანება მონაცემები წყლის აღების წყაროზე, გამოყენებული წყლის, ზედაპირული წყლის ობიექტებში ჩაშვებული ჩამდინარე წყლების, ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებული დამაბინძურებელი ნივთიერებების რაოდენობაზე და ა.შ. ხდება მონაცემთა დაჯამება საქმიანობის დარგების, ტერიტორიული ერთეულების და მდინარეთა აუზების მიხედვით, მზადდება შესაბამისი ყოველწლიური კრებულები.

- გარემოს ეროვნული სააგენტო: ანალიტიკური განყოფილება უზრუნველყოფს შავი ზღვის აუზის მდინარეების მონიტორინგის განხორციელების მეთოდურ ხელმძღვანელობას; მონიტორინგის შედეგების შეგროვებას, დამუშავებასა და გადაცემას მონაცემთა ბაზებში; აგრეთვე ახორციელებს მდინარის წყლის სინჯებში მმიმე ლითონების შემცველობის განსაზღვრას. გარემოს ეროვნულ სააგენტოს ევალება გარკვეული ტოქსიკური ნივთიერებების (პესტიციდები, პოლიარომატული ნახშირწყალბადები და სხვა) არსებობის მონიტორინგი, თუმცა აუდიტის პერიოდში აღნიშნული არ განხორციელებულა.

ქუთაისის გარემოს დაბინძურების მონიტორინგის ლაბორატორია უზრუნველყოფს შავი ზღვის აუზის 5 მდინარის ყოველთვიურ მონიტორინგს, ხოლო შავი ზღვის მონიტორინგის ცენტრი მონიტორინგს ატარებს 7 მდინარეზე. შავი ზღვის მონიტორინგის ცენტრის ძირითადი საქმიანობაა შავი ზღვის ბიომრავალფეროვნების კვლევა და მისი მონიტორინგი. აღნიშნული ცენტრი ჩამოყალიბდა შავი ზღვის თევზის მეურნეობისა და ეკოლოგიის ინსტიტუტის ბაზაზე. მონიტორინგის ფარგლებში განისაზღვრება 30-35 ინგრედიენტი: ფიზიკურ-ქიმიური პარამეტრები, არაორგანული და ორგანული კომპონენტები. ყოველთვიური მონაცემები გადაეცემა მონაცემთა ბაზას. მიღებული შედეგების ანალიზი გამოიცემა ყოველთვიურ საინფორმაციო ბიულეტენში.

- გარემოს დაცვის ინსპექცია: შავი ზღვის კონვენციური ინსპექცია ამოწმებს გემების მიერ ნავსადგურების დაბინძურებას. თუმცა გდი სრულყოფილად ვერ ახორციელებს გარემოზე ზემოქმედების ნებართვის პირობების შესრულების კონტროლს ანუ იმის ინსპექტირებას, თუ რამდენად შეესაბამება საწარმოთა მიერ წყალაღება/წყალჩაშვება და ჩაშვებული წყლის ხარისხი ქვეყანაში დადგენილ სტანდარტებს. გარემოს დაცვის მინისტრის ბრძანებით⁴ გეგმიური შემოწმებები უნდა

⁴ 2006 წლის 21აგვისტოს N744 „სახელმწიფო ინსპექტირებისა და მასთან დაკავშირებული საქმის წარმოების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“

განხორციელებულიყო ინსპექციის სამოქმედო გეგმის შესაბამისად და მისი შემუშავება უნდა მომხდარიყო კანონმდებლობით დადგენილი სიხშირისა და საერთაშორისო ორიენტირების გათვალისწინებით. აუდიტის პერიოდში გდი-ს არ გააჩნდა წყლის ხარისხის შემოწმების გაწერილი და დამტკიცებული გეგმა. გარემოს დაცვის ინსპექცია წყლის ხარისხის შემოწმებებს ატარებდა არაგეგმიურად, ძირითადად შემოსულ საჩივარზე ან მომხდარი დაბინძურების ფაქტზე ინფორმაციის მიღებისას, რაც რეალურად ვერ უზრუნველყოფდა წყალმომხმარებლთა მიერ წყლის დაბინძურების ხარისხის კონტროლსა და მის პრევენციას. არაგეგმიური შემოწმებები იმავე ბრძანების თანახმად უნდა განხორციელებულიყო ავარიული და ექსტრემალური სიტუაციების დროს.

დასკვნა

საქართველოში მოქმედ ორგანიზაციებს შორის არ არსებობს საჭირო კოორდინაცია და ისეთი ორგანიზაციული სტრუქტურა, რომელიც მათ შორის თანამშრომლობას და ინფორმაციის გაცვლას შეუწყობდა ხელს. ჩამდინარე წყლების გარემოსდაცვით მოთხოვნებთან შესაბამისობა არარეგულარულად მოწმდება, რაც წარმოშობს ზედაპირული წყლების დაბინძურების რისკს.

3.ხმელეთიდან დაბინძურების მართვა და აღრიცხვიანობა

3.1 მდინარეებიდან ჩაშვებული წყლებით დაბინძურების მართვა და აღრიცხვიანობა/სტატისტიკა


ჩამდინარე წყლებთან ერთად, ჩაშვებული დამაბინძურებელი ნივთიერებების სახელმწიფო აღრიცხვა ხორციელდება ეკ. სამინისტროს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ დამტკიცებული „წყლის გამოყენების სახელმწიფო აღრიცხვის“ სტატისტიკური ფორმების მეშვეობით, რომლის შევსების და წარდგენის ინსტრუქცია შემუშავებულია „წყლის შესახებ“ და „სტატისტიკის შესახებ“ საქართველოს კანონების მოთხოვნათა შესაბამისად.

აუდიტის პერიოდში წყლის რესურსების მართვის სამმართველო ვერ უზრუნველყოფდა მიღებული ინფორმაციის ჯეროვან დამუშავებას და აღრიცხვიანობას, რაც თავის მხრივ განაპირობებდა ჩაშვებული წყლების და მასთან ერთად დამაბინძურებელი ნივთიერებების შესახებ აგრეგირებული მონაცემების არასაიმედოობას. ერთის მხრივ აღნიშნული განპირობებულია სათანადო პროგრამული უზრუნველყოფის არქონით.

ყოველწლიური ანგარიშების თანახმად წყალმოხმარების ობიექტების მიერ 2007, 2008 და 2009 წლებში შავი ზღვის აუზის მდინარეებში ჩაშვებული წყლის და მასთან ერთად ჩაშვებული დამაბინძურებელი ნივთიერებების სტატისტიკა მოყვანილია ქვემოთ:

| | ჩამდინარე წყლების მოცულობა მლნ.ტონა | წყალმომხმარე ბელ ობიექტთა რაოდენობა | ათასი ტონა | | | | | | | | | | | | |
|------------------------------------|--|---|------------|------|------|------------------------|-----------|-------|-----------|------------|--------|-----------|-----------|-----------|------|
| | | | შემ 5 | | | შეწონილი ნაწილაკები | | | ქლორიდები | | | | | | |
| | | | 2007 | 2008 | 2009 | 2007 | 2008 | 2009 | 2007 | 2008 | 2009 | 2007 | 2008 | 2009 | |
| სულ შავი ზღვის აუზში | 71.819 | 71.413 | 461.9 6 | 447 | 465 | 531 | 2.9 4 | 2.51 | 2.34 | 42.05 1 | 52.379 | 39.7 3 | 1.28 4 | 3.35 | 0.78 |
| მდ. რიონი | 35.614 | 38.099 | 236.75 | 246 | 260 | 265 | 1.82 6 | 1.628 | 1.6 | 39.86 6 | 51.349 | 38.6 3 | 0.50 4 | 2.08 9 | 0.36 |
| გ. ჭორობი | 20.821 | 23.023 | 193.4 | 116 | 120 | 149 | 0.57 9 | 0.516 | 0.55 | 1.297 | 0.492 | 0.7 | 0.77 9 | 0.842 | 0.18 |
| მდ. ხობი | 0.671 | 0.672 | 1.35 | 6 | 9 | 9 | 0.00 9 | 0.009 | 0.01 | 0.017 | 0.017 | 0.02 | 0 | 0 | 0 |
| მდ. სუფსა | 0.287 | 0.154 | 0.32 | 10 | 8 | 8 | 0.00 1 | 0 | 0 | 0.022 | 0.009 | 0.02 | 0 | 0 | 0 |
| სხვადანარჩ ენიმდინარე ებიდან | 14.426 | 9.465 | 30.14 | 69 | 68 | 100 | 0.52 5 | 0.357 | 0.18 | 0.849 | 0.512 | 0.36 | 0.00 1 | 0.419 | 0.24 |

ქვემოთ მოყვანილია წყალმომხარებელი ობიექტებიდან მდინარეებში ჩაშვებული წყლის
მოცულობების გრაფიკი



წყლის რესურსების სამმართველოს მიერ მოწოდებული მონაცემების მიხედვით.

3.2

მუნიციპალურიარხებიდანჩაშვებულიწყლებითდაბინძურებისმართვადააღრიცხვიანობა /სტატისტიკა

მუნიციპალური ჩამდინარე წყლები, შავი ზღვის დაბინძურების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა.

აჭარის ა/რ გარემოს დაცვის სამმართველოდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, ყველა საწარმოში ხდება ჩამდინარე ნახმარი წყლების გაწმენდა, კერძოდ: შ.კ.ს „ბათუმის წყალში“, შ.კ.ს „ბათუმის საერთაშორისო აეროპორტში“, შ.კ.ს „ოაზისში“ დანერგილია ჩამდინარე წყლების გაწმენდის ბიოლოგიური მეთოდი, ხოლო დანარჩენ ობიექტებზე კი ხდება წყლების მექანიკური გაწმენდა.


აღსანიშნავია, რომ ბოლო პერიოდში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტები, რომლებიც საერთაშორისო ორგანიზაციების მონაწილეობით ხორციელდება და მიმდინარეობის სხვადასხვა ეტაპზე იმყოფებიან (მაგ. ქობულეთის, ბათუმის, ფოთის წყალგაყვანილობის სისტემის რეაბილიტაცია, ადლიის გამწმენდი ნაგებობის აღდგენა და სხვა.) მნიშვნელოვნად გააუმჯობესებენ შავი ზღვის სანაპირო ზოლის ეკოლოგიურ მდგომარეობას ჩამდინარე მუნიციპალური წყლების შეკრებისა და ბიოლოგიური გაწმენდის გზით.

ქვემოთ წარმოდგენილია მუნიციპალური ჩამდინარე წყლებით დაბინძურების სტატისტიკა⁵ მირითადი ნივთიერების მიხედვით.

| | ჩამდინარემუნციპალურიწყლებიათასიმ ³ | | | ჟბმათასიკგ | | | შეწონილინაწილაკებიათასიკგ | | | ნიტრატებიათასიკგ | | |
|----------|---|--------|--------|------------|------|------|---------------------------|------|------|------------------|------|------|
| | 2007 | 2008 | 2009 | 2007 | 2008 | 2009 | 2007 | 2008 | 2009 | 2007 | 2008 | 2009 |
| სულ | 25780 | 26308 | 29245 | 1014 | 853 | 792 | 838 | 675 | 725 | 163 | 162 | 160 |
| ფოთი | 2,150 | 2,200 | 2,250 | 110 | 110 | 110 | 11 | 11 | 11 | 28 | 28 | 28 |
| ბათუმი | 21,780 | 22,500 | 25,195 | 700 | 603 | 528 | 567 | 504 | 524 | 103 | 92 | 99 |
| ქობულეთი | 1,850 | 1,608 | 1,800 | 204 | 140 | 154 | 260 | 160 | 190 | 31 | 42 | 32 |

- შავი ზღვაში მუნიციპალური არხებიდან ჩამდინარე წყლების დინამიკა

⁵ აჭარის ა/რ -ის წყლის რესურსების სამმართველოსა და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონალური სამსახურის მიერ მოწოდებული მონაცემები



3.3 საწარმოებიდანჩაშვებულიწყლებითდაბინბურებისმართვადააღრიცხვიანობა/სტატის ტიკა

აჭარის ა/რ-ის, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოში, ყოველწლიურად გროვდება ინფორმაცია წყალმომხმარებელი ობიექტების მიერ გამოყენებული/ჩაშვებული წყლის და მასთან ერთად დამაბინბურებელი ნივთიერებების რაოდენობაზე. თითოეული ობიექტიდან მოწოდებული მონაცემები დამაბინბურებელი ნივთიერებების შესახებ უნდა შეესაბამებოდეს სამინისტროს მიერ დამტკიცებულ ზღვრულად დასაშვებ ნორმატივებს. სამმართველო უნდა ახორციელებდეს წყლის გამოყენების შესახებ წყალმომხმარებელი ობიექტის მხრიდანმოწოდებული ინფორმაციის სისწორის კონტროლს⁶, რაც ფაქტობრივად არ ხორცილდება.

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონალური სამსახური, აღრიცხავს რეგიონში განლაგებულ იმ წყალმომხმარებელ ობიექტების მიერ გამოყენებული წყლის ჩაშვებას, რომელიც ზღვაში როგორც პირდაპირ, ასევე არაპირდაპირ უშვებენ მოხმარებულ წყალს და მასთან ერთად დამაბინბურებელ ნივთიერებებს.

სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონალური სამსახური ჩაშვებული წყლების შესახებ ინფორმაციას ამზადებს წყალმომხმარებელი ობიექტებიდან პერიოდულად მიღებული მონაცემების (ჩაშვებული წყლის და მასთან ერთად დამაბინბურებელი ნივთიერებების შესახებ) საფუძველზე. საწარმოთა უმრავლესობა არ არის აღჭურვილი ჩაშვებული წყლის აღრიცხვისთვის საჭირო საშუალებებით და მათ მიერ მოწოდებული ინფორმაცია ჩაშვების შესახებ ეყრდნობა ტექნოლოგიურ გათვლებს. კერძოდ, ტექნოლოგიური

⁶თანახმად „აჭარის ა/რ-ის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს“ დებულების მე-3 მუხლის ე ქვეპუნქტისა

პროცესების გათვალისწინებით ითვლიან გარკვეული პროდუქციის წარმოება რა რაოდენობის წყლის მოხმარებასთან არის დაკავშირებული და შედეგად რა სახის ნივთიერებები მოხვდება წყალში. აღნიშნული მეთოდით გამოანგარიშებული ჩაშვების მონაცემები ნაკლებად საიმედოა.

3.4 ნაგავსაყრელებით შავი ზღვის დაბინძურების მართვა და აღრიცხვიანობა/სტატისტიკა

ნაგავსაყრელები შავი ზღვის დაბინძურების პოტენციური წყაროა. მდინარეების პირას და ზღვის სიახლოვეს განთავსებული ნაგავსაყრელებიდან შეიძლება მოხდეს, როგორც ნაგვის ჩატანა წყლის ობიექტებში, ასევე მიწისქვეშა წყლების დაბინძურება. ნაგავსაყრელების მოწყობა გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემას დაქვემდებარებული საქმიანობაა, თუმცა საქართველოში (აჭარაში) მოქმედი ბევრი ნაგავსაყრელი გასული საუკუნის 60 იანი წლებიდან ფუნქციონირებს და არც ერთ მათგანზე აღნიშნული ნებართვა გაცემული არ არის, რითაც ირლვევა კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები.⁷ ბათუმისა და ქობულეთის მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების ნაგავსაყრელიდან არსებობს შავი ზღვის დაბინძურების საშიშროება. აუდიტის პერიოდში ზღვაში ჩამავალი მდინარე აჭარისწყალი ბინძურდებოდა ქედის, შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტების მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების ნაგავსაყრელებიდან. ამ მუნიციპალიტეტების ნაგავსაყრელები ლიკვიდირებულ იქნა 2009 წელს.

აჭარის ა/რ-ის ნაგავსაყრელებზე ყოველწლიურად იყრება დაახლოებით 327 570 მ³ საყოფაცხოვრებო ნარჩენი, თუმცა აღნიშნულით ზღვის დაბინძურების სტატისტიკა არ მოიპოვება. ანალოგიური მდგომარეობაა ფოთში, სადაც ნაგავსაყრელი, რომელიც რიონის მარცხენა ნაპირზე ფუნქციონირებს 1961 წლიდან, ამორტიზებულია. 2009 წლის მონაცემებით აღნიშნულ ნაგავსაყრელზე განთავსებული იქნა 18 000მ³ საყოფაცხოვრებო და 4000 მ³ საპორტო ნარჩენი.

აღსანიშნავია რომ EBRD-ის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში⁸ 2008 წლიდან მიმდინარეობს მუშაობა ჩაქვში სანიტარული ნაგავსაყრელის მშენებლობისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტზე, რომელიც იქნება სრულ შესაბამისობაში ევროკავშირის ნორმებთან. პროექტის საერთო ღირებულება 8.7 მილიონ ევროს შეადგენს და დაფინანსდება EBRD ის სესხის (3 მილიონი), SIDA-ს 4.7 მილიონი გრანტი და ETC ფონდის მიერ (0.6 მილიონი). პროექტის დასრულება იგეგმება 2012 წლის იანვრამდე.

⁷ საქართველოს კანონი გარემოზე ზემოქმედების ნებართვების შესახებ, მუხლი 4 პირველი პუნქტის ექვეპუნქტი

⁸ Adjara solid waste project

აღნიშნული მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მყარი ნარჩენებით ზედაპირული წყლების დაბინძურების შემცირებას და შექმნის ასეთი მოდელის სხვა რეგიონებში გავრცელების შესაძლებლობას.

დასკვნა

წყალმოხმარების სფეროში საიმედო მონაცემების მისაღებად აუცილებელია სათანადო პროგრამული უზრუნველყოფა მონაცემთა შენახვა-დამუშავებისათვის. ასევე უნდა მოხდეს წყალმომხმარებელთა მიერ მოწოდებული ინფორმაციის სისწორის დადასტურება. მყარი ნარჩენებით დაბინძურების მხრივ პოზიტიური ძვრები შეინიშნება აჭარაში პირველი თანამედროვე ნაგავსაყრელის მოწყობის დაწყების სახით. აღსანიშნავია რომ მუნიციპალური ჩამდინარე წყლების დინამიკა მზარდი ტენდენციით ხასიათდება და ეკონომიკური აქტივობის ზრდის შესაბამისად აუცილებელია გარემოსდაცვითი ინფრასტრუქტურის განვითარება გაზრდილი მოთხოვნის საპასუხოდ.

4. შავი ზღვის დაბინძურების მონიტორინგი

4.1 წყლის მონიტორინგის სტრუქტურა

მონიტორინგი შავი ზღვის დაცვისა და მისი დაბინძურების კერების ლიკვიდაციის ერთ-ერთი პრერეკვიზიტია. თავის მხრივ, მონიტორინგი გულისხმობს ზედაპირულ და ზღვის წყალზე უწყვეტ, რეგულარულ დაკვირვებას მონაცემთა ბაზის შექმნას ანალიტიკური მიზნებისათვის და საჭიროებისამებრ რეაგირებას.

შავი ზღვის სანაპიროზე მონიტორინგის სისტემა არათანაბრადაა განვითარებული. აჭარის ა/რ-ში ზღვის წყლის ხარისხის მონიტორინგი წლების მიხედვით არათანმიმდევრულ ხასიათს ატარებს. 2007 და 2008 წლებში აჭარის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს მიერ საკოორდინაციო გეგმის ფარგლებში ტარდებოდა ზღვის წყლის ხარისხის ფიზიკურ-ქიმიური მაჩვენებლების მონიტორინგი. სამმართველოში არსებული ინსტრუმენტებით იზომებოდა მხოლოდ რამოდენიმე პარამეტრი. სინჯების აღება ხდებოდა წყალმოხმარების ადგილებში 8 წერტილში. აღსანიშნავია, რომ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად სინჯების აღება წარმოებდა 1 ივლისიდან 10 ოქტომბრამდე, ანუ მხოლოდ 3 თვის განმავლობაში. რაც შეეხება სანიტარულ (მიკრობიოლოგიურ) მონიტორინგს, მისი მონაცემები მოიპოვება მხოლოდ 2007 წლისათვის. 2009 წელს ქიმიურ-ფიზიკური, ხოლო 2008, 2009 წლებში სანიტარული მონიტორინგი შავი ზღვის წყლის ხარისხზე არ განხორციელებულა. ქალაქ ფოთში მონიტორინგი ხორციელდებოდა შპს „ლაბორატორიული კვლევის ცენტრი“-ს მიერ. აუდიტის პერიოდში ყოველი წლის ივნისი-სექტემბრის მონაკვეთში ცენტრი ახდენდა

დაკვირვებას წყლის ხარისხზე. სინჯების აღება ხდებოდა 3-4 წერტილში. მოწმდებოდა რამოდენიმე ფიზიკურ-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური პარამეტრი.

მდინარეების მონიტორინგი ხორციელდებოდა გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ. აღნიშნული მონიტორინგი რეგულარულ ხასიათს ატარებს და მისი მონაცემები შედის საინფორმაციო ბანკში, რომლის საფუძველზე ხდება ინფორმაციის ანალიზი და ქვეყნდება ანგარიშები. ძირითადი მაჩვენებლების მიხედვით მდინარეების დაბინძურების ხარისხი საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება N297/N-ში დადგენილი პარამეტრების ფარგლებშია.

42 მონიტორინგის წარმოების ეფექტიანობა და მონაცემები/სტატისტიკა

აჭარის ა/რ-ის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველო ვერ უზრუნველყოფს შავი ზღვის წყლის ხარისხის სრულყოფილ მონიტორინგს, მათ მიერ წარმოებული დაკვირვებები რომელიც პერიოდულად ტარდება საკურორტო სეზონის განმავლობაში, არ მოიცავს კონვენციით გათვალისწინებულ ყველა ნივთიერებას და ვერ იძლევა რეალურ წარმოდგენას წყლის ხარისხის მდგომარეობის შესახებ.

სამეცნიერო-ზემო სვანეთისა და დასავლეთ ცენტრალურ ტერიტორიულ ერთეულებში სამინისტროს არ გააჩნია მონიტორინგის განმახორციელებელი ორგანო. სანიტარული ზედამხედველობის სამსახურის გაუქმების შემდეგ ფოთის მერიის მიერ დაფუძნებული შპს „ლაბორატორიული კვლევის ცენტრი“ მერიის დაკვეთით ახორციელებს ზღვის წყლის რამოდენიმე პარამეტრის სეზონურ მონიტორინგს.

მიუხედავად იმისა, რომ მდინარეების მონიტორინგი რეგულარულად ხორციელდება, სინჯების აღება მდინარეებიდან მხოლოდ თვეში ერთხელ წარმოებს, რამაც შეიძლება უარყოფითი ზეგავლენა იქონიოს ზედაპირული წყლების ხარისხის ამა თუ იმ კონკრეტული მომენტისათვის ასახვაზე და მოწოდებული ინფორმაციის ადექვატურობაზე. დროული და შესაბამისი/რეალური მონაცემების მისაღებად საჭიროა მონიტორინგის შედეგების მუდმივი განახლება (სინჯების მეტი სიხშირით აღება). რამოდენიმე ორგანიზაცია/უწყება სხვადასხვა დაქვემდებარების დონეზე აწარმოებს დაკვირვებებს შავი ზღვისა და ზედაპირული წყლების ხარისხზე, თუმცა დაკვირვებები არარეგულარულ ხასიათს ატარებს, ასევე არაერთგვაროვანია შემოწმებული ნივთიერებების ჩამონათვალი, სინჯების აღების სიხშირე და წერტილები. შავი ზღვისა და მისი აუზის ზედაპირული წყლების მონიტორინგის სტატისტიკური მონაცემები არათანმიმდევრული და არასრულყოფილია.

დასკვნა

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო ეფექტიანად ვერ ახორციელებს მასზე დაკისრებულ ფუნქციას-უზრუნველყოს გარემოსდაცვითი სფეროს

მონიტორინგის საიმედო მონაცემების წარმოება და კონტროლი ისეთი მნიშვნელოვანი ობიექტებისათვის, როგორიცაა შავი ზღვა და მასთან დაკავშირებული ზედაპირული წყლის ობიექტები.

5. შემაჯამებელი დასკვნა

კონვენციით აღებული ვალდებულებების სრულყოფილად შესასრულებლად საჭიროა ეროვნული კანონმდებლობის ოპტიმიზაცია და მისი ევროკავშირის ნორმებთან შესაბამისობაში მოყვანა. მნიშვნელოვანია კონკრეტული სახელმწიფო პროგრამის შემუშავება შავი ზღვის დაბინძურების წინააღმდეგ, რომელიც უნდა მოიცავდეს როგორც კანონმდებლობის სრულყოფის ღონისძიებებს ისე მათი შესრულების ეფექტური კონტროლის მექანიზმებს.

არსებითია შავიზღვისპირეთში მიმდინარე პროექტების წარმატებით დასრულება, რაც გამოიხატება ისეთი პირველადი მნიშვნელობის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციას/შექმნაში, როგორიცაა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი წყალგამწენდი ნაგებობები, მყარი ნარჩენების ნაგავსაყრელები და წყალგაყვანილობის სისტემები. ამგვარი ინფრასტრუქტურის არსებობა, რომელიც უნდა მოიცავდეს საქართველოს მთლიან სანაპირო ზოლს შესაძლებელს გახდის ეროვნული და საერთაშორისო გარემოსდაცვითი მოთხოვნების სრულყოფილ დაცვას ხმელეთიდან ჩაღდინარე წყლებით დაბინძურების კონტროლის კუთხით.

ქვეყანაში ამჟამად მოქმედი შავი ზღვის დაცვის ღონისძიებებში ჩართული ერთეულების ორგანიზაციული სტრუქტურა, გარემოსდაცვითი კანონმდებლობის შესრულების კონტროლი, ზედაპირული წყლებისა და სანაპირო ზოლის მონიტორინგის სისტემა გაუმჯობესებას მოითხოვს.

რეკომენდაციები

- უნდა მოხდეს არსებული საკანონმდებლო ბაზის ოპტიმიზაცია, რათა უზრუნველყოფილი იქნეს მისი საერთაშორისო ნორმებთან შესაბამისობაში მოყვანა.
- უნდა მოხდეს შავი ზღვის დაცვაზე პასუხისმგებელი ორგანიზაციების სტრუქტურის ოპტიმიზაცია, შეიქმნას უფრო ცენტრალიზებული, ერთიანი და ეფექტური სტრუქტურა, სადაც მკვეთრად იქნება გამიჯნული მხარეთა უფლება-მოვალეობები და მათი პასუხისმგებლობის სფეროები. აღნიშნულმა სტრუქტურამ ხელი უნდა შეუწყოს ინფორმაციის გაცვლისა და თავმოყრის პროცესს
- წყალმომხმარებელის მიერ ჩაშვებული დამაბინძურებელი ნივთიერებების ზღვრულად დასაშვებ ნორმატივებთან შესაბამისობის ინსპექტირება/მონიტორინგი გეგმიურად უნდა განხორციელდეს უფლებამოსილი სამსახურების მიერ.
- საჭიროა სამინისტროს მიერ მოხდეს შავი ზღვის და მისი აუზის მდინარეების რეგულარული და საიმედო მონიტორინგი, რომელიც მოიცავს კონვენციით გათვალისწინებულ ყველა ნივთიერებას, ასევე უნდა შეიქმნას და დამტკიცდეს მეთოდოლოგია, სინჯების აღების წერტილების რაოდენობა და მდებარეობა.

აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი

„საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, აუდიტის ანგარიში ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს კონტროლის პალატაში.

აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ზედამხედველ აუდიტორი

კახაბერ სონიშვილი

აუდიტორ-ასისტენტები:

გიორგი კაპანაძე

მაია მუჯირიშვილი